თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 01

18 იანვარი 2022 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 37 დეპუტატი :

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე -

თენგიზი მთვარელიშვილი;

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	**მამუკა ბურდიაშვილი;**
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	**ალექსანდრე შათირიშვილი;**
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	**მიხეილ დაღუნდარიძე;**
საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	**ლევან ბერძენაშვილი;**
საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე	**ზურაბ ლილუაშვილი;**
საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე	**გიორგი ხაჭაპურიძე;**
საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე	**ლევან კოჭლოშვილი;**
საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	**თინათინ ხანჯალიაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე	**დავით ღაღანიძე;**

საკრებულოს ფრაქციის **„ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“** თავმჯდომარის მოადგილეები: **თამარ ხატიაშვილი, ოთარ ესიტაშვილი, ზურაბ მოსახლიშვილი, ზურაბ მუსაევი, უჩა ჭოტიაშვილი, ზაზა ტატულიშვილი.**

საკრებულოს ფრაქციის **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“** თავმჯდომარის მოადგილეები: **გაიოზ რევაზიშვილი, აბრამ მახარიაშვილი, ალეკო ალეკოსაშვილი, ოთარი ჯორბენაძე**

საკრებულოს წევრები: ივანე კირვალიძე, ნიკოლოზ მაისურაძე, გივი ლაფაური, ანა ოთარაშვილი, ეკატერინე ონიკაძე, გიორგი ქართლელიშვილი, ბაადურ გულიაშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი, ნინო ომანიძე, იმედა კევლიშვილი, ივანე დალაქიშვილი, ნატალია ბახსოლიანი, ზვიადი ხანჯალიაშვილი, რუსუდანი იმერლიშვილი, რამაზ ჩეკურიშვილი, ალექსანდრე კუპატაძე, გელა ესიტაშვილი (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ნათია ვაყელიშვილი;

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი თავბერიძე;

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის მ/შემსრულებელი დავით ქსოვრელიშვილი;

საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე;

საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები;

მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები;

მოქალაქე: ი.პარწიკანაშვილი, არჩილ მჭედლიშვილი.

თავმჯდომარემ განმარტა რიგგარეშე სხდომის მოწვევის მიზეზი და საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ;

   მომხს. დ.ქსოვრელიშვილი
   14.00სთ-დან - 14.20 სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 06 ივლისის №52 განკარგულებაში ,,2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის" ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტში 2021-2022 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. დ.ქსოვრელიშვილი
   14.20სთ-დან - 14.40 სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. ნ. ვაყელიშვილი

4. თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ - დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე
15.00სთ-დან - 15.10 სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ლ. ბერძენაშვილი
15.10სთ-დან - 15.20 სთ-მდე

დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 34(ოცდათოთხმეტი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: 03(სამი) წევრმა - ი.კევლიშვილმა, ნ.ბახსოლიანმა, ნ.ომანიძემ.

<u>1.მოისმინეს:</u> საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ;

მომხს. დ.ქსოვრელიშვილი
14.00სთ-დან - 14.20 სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> ზ.ტატულიშვილმა

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).**

<u>2.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 06 ივლისის №52 განკარგულებაში ,,2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის" ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტში 2021-2022 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. დ.ქსოვრელიშვილი
14.20სთ-დან - 14.40 სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **გ.ლაფაურმა** დასვა კითხვა თეატრის მიმდებარედ არსებული ახალი ბაღის სარეაბილიტაციოსამუშაოების შესახებ.

დ.ღაღანიძემ ისაუბრა „ქართუ-ბანკი"-ს მიმდებარე ტერიტორიაზე საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციის აუცილებლობაზე.

ბ.რევაზიშვილმა აღნიშნა, რომ კავკასიონის ქუჩაზე აუცილებელია მწვანე ზოლის მოწყობა.

ა.შათირიშვილმა აღნიშნა, რომ აუცილებელია მუნიციპალიტეტის სოფლებშიც განხორციელდეს ინფრასტრუქტურული პროექტები.

გ.გიგიტელაშვილმა დასვა კითხვა სოფ.კურდღელაურის გზის მონაკვეთის შესახებ, რომელიც წარმოდგენილია პროექტში.

ბ.გულიაშვილმა აღნიშნა, რომ ქ.თელავში არსებობს სპორტული კომპლექსი, რომელიც ამ ეტაპზე გამოუყენებელია. შესაბამისად წარმოდგენილი პროექტი ახალი კომპლექსის მშენებლობას არ უნდა ითვალისწინებდეს.

საკრებულოს წევრების შეკითხვებზე და მოსაზრებებზე განმარტებები გააკეთა **დ.ქსოვრელიშვილმა.**

<u>დაადგინეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).**

<u>3.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ. ვაყელიშვილი
14.40სთ-დან - 15.00 სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ბ.რევაზიშვილმა** აღნიშნა, რომ გარკვეულ პუნქტებს არ ეთანხმებიან და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრები შესაბამისად მხარს არ დაუჭერენ წარმოდგენილ პროექტს.

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 24 (ოცდაოთხი) წევრმა, წინააღმდეგი:** 02(ორი)**წევრი:** ბ.რევაზიშვილი, რ.იმერლიშვილი, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 11(თერთმეტი) წევრმა:** გ.გიგიტელაშვილმა, ა.მახარიაშვილმა, ბ.გულიაშვილმა, ე.გურგენიძემ, ნ.ომინიძემ, ი.კევლიშვილმა, ი.დალაქიშვილმა, ნ.ბახსოლიანმა, ზ.ხანჯალიაშვილმა, რ.ჩეკურიშვილმა, ა.კუპატაძემ).

<u>4.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ - დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე
15.00სთ-დან - 15.10 სთ-მდე

<u>დაადგინეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).**

<u>5.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ლ. ბერძენაშვილი

<u>აზრი გამოთქვეს:</u> ა.მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ საკრებულოს ყველა წევრს უნდა ქონდეს ყოველთვიური ხელფასი და არა ხარჯების ანაზღაურება. ამისათვის საკრებულოს შეუძლია საკანონმდებლო წინადადების მომზადება, რათა პარლამენტმა უზრუნველყოს კანონის საფუძველზე დაარეგულიროს საკრებულოს წევრების ხელფასი.

<u>დაადგინეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 25(ოცდახუთი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 12(თორმეტი) წევრმა:** ბ.რევაზიშვილმა, ბ.გულიაშვილმა, ე.გურგენიძემ, ა.კუპატაძემ, გ.გიგიტელაშვილმა, რ.იმერლიშვილმა, ზ.ხანჯალიაშვილმა, ზ.გრიშიკაშვილმა, ა.მახარიაშვილმა, რ.ჩეკურიშვილმა, ნ.ომინიძემ, ი.კევლიშვილმა).

საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზი მთვარელიშვილი